

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ერთ-ერთია მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომებიდან, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასაჭრელი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. ნაშრომი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

This policy brief is also available in English.

ქალი და ენერჯეტიკა - რთული ურთიერთობები

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ქალებსა და ენერჯეტიკის სექტორს შორის არსებული ურთიერთობები რთული და წინააღმდეგობრივია, ხოლო ზეგავლენა საკმაოდ დიდი. ქვეყანაში მიმდინარე ენერგოპოლიტიკა პრაქტიკულად გენდერულად ბრმაა, ხოლო მიმდინარე ჰიდროელექტროსადგურების, ასევე თბოელექტროსადგურებისა და გადამცემი ხაზების მშენებლობა, ტარიფების განსაზღვრა და ა.შ. საერთოდ არ ითვალისწინებს გენდერულ ასპექტებს.

ენერჯეტიკასთან დაკავშირებული გავლენების გენდერული ასპექტი საქართველოში შეისწავლება მხოლოდ მაშინ, როცა საკითხი ეხება დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს იძულებითი განსახლება და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პროექტებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები აფინანსებენ.

სხვა შემთხვევებში, გენდერული დისბალანსი (ქალების შეზღუდული მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დასაქმების შესაძლებლობები, ზეგავლენა ჯანმრთელობაზე, სარგებელი და სხვ) პრაქტიკულად არ აღიქმება როგორც პრობლემა, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ზემოქმედება.

შედეგად, ენერგოპოლიტიკა და საინვესტიციო პროექტები ისე იგეგმება, რომ საერთოდ არ არის გათვალისწინებული გენდერთან დაკავშირებული ზემოქმედების კონკრეტული საკითხები და შერბილების მიზნით დაგეგმილი კონკრეტული ქმედებები (ჯანდაცვა, დასაქმება, დატვირთვა, სიღარიბე და ა.შ.).

ენერჯეტიკის სექტორის გენდერულ ასპექტებს საქართველოში კვლავაც არ ეთმობა სათანადო ყურადღება, არც საზოგადოების და არც გადაწყვეტილების მიმღები პირების მხრიდან.

გენდერული თანასწორობის სტრატეგია 2014–2016

საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული გენდერული თანასწორობის სტრატეგია 2014–2016¹ ერთადერთი დოკუმენტია, რომელშიც განხილულია ენერჯეტიკის სექტორთან დაკავშირებული გენდერული საკითხები. დოკუმენტის ამოცანაა "ენერჯის წყაროების დივერსიფიცირება პროდუქტიულობის გაზრდის, დამატებითი შემოსავლებისა და შრომატევადობის შემცირების მიზნით", რათა უზრუნველყოს "ოჯახებისთვის ენერჯის წყაროების ხელმისაწვდომობის გაზრდა", „განახლებადი და სუფთა ენერჯის წყაროების ათვისების ხელშეწყობა გარემოს და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება“,

1 http://genderconference.gov.ge/uploads/uploads/documents/GE_NAP_2014-2016_ENG.pdf

„ენერგოეფექტიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებისა და ცნობიერების დონის ამაღლება“ და „ენერგეტიკულ სექტორში სამუშაო ადგილების შექმნისა და ქალის როლის დამკვიდრების ხელშეწყობა“.

სამოქმედო გეგმაში გაწერილი მიზნების მიღწევის ინდიკატორები გვიქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ ენერგეტიკის სამინისტრო სინამდვილეში სრულიადაც არ გეგმავს საქმიანობების განხორციელებას ამ ამოცანების გადასაჭრელად. ვინაიდან, შეფასების ინდიკატორები, მხოლოდ რაოდენობრივად ზომავენ გაზიფიცირებული სოფლების, შემუშავებული ენერგოპროექტების, მედია საშუალებებით გაშუქებულ და ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრებს, ენერგოსექტორში დასაქმებული ქალების რაოდენობას. ინდიკატორები საერთოდ არ ზომავენ, თუ რა ზემოქმედება ექნება ამ საქმიანობებს, კონკრეტულად საქართველოში მცხოვრები ქალების ცხოვრების ხარისხზე.

ენერგორესურსებზე საოჯახო მეურნეობების წვდომის გაზრდა

თეორიულად, სოფლების გაზიფიკაციას, უპირველესად ქალებისთვის სუფთა ენერგიაზე ხელმისაწვდომობა უნდა უზრუნველყო, ვინაიდან ოჯახში საჭმლის მომზადებასა და გათბობაზე, სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელნი.

მართალია, ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებით უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ყოველწლიურად დაახლოებით 50–60 სოფლის გაზიფიკაცია მიმდინარეობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით გათბობისა და საჭმლის მომზადების ძირითად წყაროდ მაინც შემა რჩება. ENPI-FLEG² პროგრამით ჩატარებული შეფასების თანახმად, საქართველოს რეგიონებში შეშის მომხმარებელთა რაოდენობა 419,328 ოჯახია, ხოლო 29,944 ოჯახი იყენებს შეშას ბუნებრივ გაზთან ერთად.

კვლევების თანახმად, საქართველოში სოფლის მოსახლეობას ენერჯის რამოდენიმე წყარო გააჩნია, "მათ შორის ელექტროენერგია, ნახშირი, თხევადი აირი, ბუნებრივი აირი და შეშა. კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ ზაფხულის პერიოდში სოფლად მცხოვრები ოჯახების 5% მოიხმარს ბუნებრივ აირს, 1% კი ნახშირს. ზაფხულის პერიოდში გამოკითხული ოჯახების 98% მოიხმარს ელექტროენერჯიას, 92% თხევად გაზს, ხოლო 78% შეშას. ზამთრის სეზონზე კი ოჯახების მიერ ნახშირისა და ბუნებრივი აირის მოიხმარება მცირდება – 1% ნახშირი და 5% ბუნებრივი აირი³.

მიუხედავად იმისა, რომ ელექტროენერგია ხელმისაწვდომია საქართველოს რეგიონებში, „სოფლად მცხოვრები ოჯახები ელექტროენერჯიას ძირითადად (შეზღუდული ოდენობით) ელექტროხელსაწყოების, როგორცაა: (რადიო, ტელევიზორი, კომპიუტერი და სხვ) და განათებისთვის იყენებენ. შესაბამისად, ელექტროენერჯის მოხმარება რეგიონებში მკაცრად ლიმიტირებულია და გამოიყენება კონკრეტული მიზნებისთვის და საჭიროების შემთხვევაში⁴“. შესაბამისად, საკითხი დგას ქსელთან ხელმისაწვდომობის, არამედ ფინანსური ხელმისაწვდომობის კუთხით.

აღსანიშნავია, ისიც რომ „ზაფხულში ზამთართან შედარებით ოჯახების მიერ თხევად გაზის მოხმარება იზრდება, ხოლო ზამთარში პირიქით. ეს გამოწვეულია იმით, რომ შეშის ღუმელს საჭმლის მომზადების, წყლის გაცხელების და ოთახის გათბობის ფუნქციაც გააჩნია“⁵.

ზემოაღნიშნული პრობლემა უფრო მეტად მოქმედებს ქალებზე, ვიდრე მამაკაცებზე. ტრადიციულად, სოფლად, მამაკაცის როლი შეშის მოგროვებაა, ხოლო ქალი ორჯერ უფრო მეტ დროს ხარჯავს წყლის მომარაგებასა და

² სატყეო სექტორში კანონიერების დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესების აღმოსავლეთის ქვეყნების მეორე პროგრამა ევროპის სამეზობლო და საპარტნიორო ინსტრუმენტით მოცული ქვეყნებისთვის. <http://www.enpi-fleg.org/>

³ Women's Access to Energy in Georgia Challenges and Recommendations Assessment and Concept, WECF and RCDA, September 2014, <http://rcda.ge/userfiles/files/WomensAccessstoEnergyinGeorgiaChallengesandRecommendations.pdf>

⁴ IBID

⁵ IBID

საჭმლის მომზადებაზე. ზოგადად, კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოს სოფლებში მცხოვრები ოჯახები, რომლებიც საჭმლის მოსამზადებლად და სახლის გასათბობად მყარ საწვავს იყენებენ "ექვემდებარებიან შენობის შიდა ჰაერის დაბინძურებას, რომელიც დაახლოებით 30-ჯერ აღემატება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდირებულ დონეს"⁶.

საერთო ჯამში, ეს ნიშნავს, რომ ქალები, რომლებიც უფრო მეტ დროს უთმობენ საჭმლის მომზადებას მეტად განიცდიან შენობის შიგნით დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედებას, რაც მძიმედ აისახება მათ ჯანმრთელობაზე.

USAID-ის 2010 წლის ქვეყნის გენდერულ შეფასებაში ხაზგასმულია, რომ საქართველოში "ენერგომატარებლებზე ფასების ზრდამ და სახელმწიფო ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის არაეფექტურობამ გამოიწვია შეფერხებები ენერჯისა და სითბოს მიწოდებაში, რაც განსაკუთრებით მძიმედ დაეტყო დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებს. შეფასების თანახმად, სოციალური დახმარების ხარჯზე მცხოვრები ოჯახები საკუთარი შემოსავლის 30-დან 61 პროცენტამდე კომუნალური მომსახურების დასაფარად ხარჯავენ. სოციალური დახმარების შემთხვევაში, საქართველოში, ქალი განმცხადებლების (55,3% ქალები და 44,7% მამაკაცები), ისევე როგორც მიმღებთა (56,7% ქალები და 43,3% მამაკაცები) რიცხვი მამაკაცებისაზე მეტია. ამდენად, ცვლილებები ენერგეტიკულ პოლიტიკასა და ენერჯიაზე ფასწარმოქმნაში უფრო მძიმედ ქალებზე ზემოქმედებს"⁷.

ზემოთქმული ნათლად გვიჩვენებს, რომ ენერგოსიღარიბის დონე საქართველოში საკმაოდ მაღალია. ის უშუალო ზემოქმედებას ახდენს მოსახლეობის ყველა ფენაზე, თუმცა უფრო მეტი დატვირთვა ქალებზე მოდის, ვინაიდან სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელნი საოჯახო პრობლემების და ოჯახის წევრების ჯანმრთელობის ზრუნვაზე. ენერგოსიღარიბემ შეიძლება მნიშვნელოვნად დააზარალოს ბავშვების ჯანმრთელობა და მათი სწავლა-განათლების სტრუქტურა (არასაკმარისი კვების, ცხოვრების ცუდი პირობების, შეწონილი მკვრივი ნაწილაკების (PM) ზემოქმედების და ა.შ. შედეგად). ყოველივე ეს, ტრადიციულად ზრდის ქალის დატვირთვას ოჯახში.

კეთილდღეობის მიღწევის ერთ-ერთი გზა თანამედროვე ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომის გაუმჯობესებაა. თუმცა, ეს შეუძლებელია მხოლოდ სოფლების გაზიფიკაციის ან ქსელზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ზრდით. კვლევები აჩვენებს, რომ სოფლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კვლავ იყენებს შემას გათბობისა და საჭმლის მომზადებისთვის, შესაბამისად მათი ცხოვრების ხარისხი კვლავაც იგივე რჩება.

ის რომ, მოსახლეობას დანიშნულებისამებრ გაზის ან ელექტროენერჯის გამოყენება არ შეუძლია, ნიშნავს, რომ ინფრასტრუქტურაში და განვითარების პროგრამებში ჩადებული ინვესტიციები არაა კარგად დაგეგმილი და გათვლილი. ამ შემთხვევაში გაზიფიცირებული სოფლების რაოდენობის დათვალა არ გვაძლევს არსებული სიტუაციის სრულ სურათს.

ენერგოსექტორის უკეთ დაგეგმვის, ასევე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილებისთვის, მნიშვნელოვანია, ვაღიაროთ ენერგოსიღარიბის არსებობა. ენერგოსიღარიბის აღმოფხვრისთვის, კი აუცილებელია მისი შემადგენელი გენდერული პრობლემების განხილვა. მამაკაცებისა და ქალებისთვის ენერჯიაზე განსხვავებული მოთხოვნილების არსებობის, ასევე კომუნალური მომსახურების საფასურის გადახდის განსხვავებული უნარის (რაც გამომდინარეობს ოჯახში განსახვევებული ვალდებულებებიდან) აღიარება, მოგვცემს ენერგოსექტორში მიმდინარე პროცესების უკეთ დაგეგმვის საშუალებას.

გადაწყვეტილებების მიღებისა და პროექტების შემუშავების დროს ენერგეტიკული სიღარიბისა და მისი გენდერული ასპექტების გათვალისწინება არ ხდება, როგორც მთავრობის, ასევე დონორების მიერ. მაგალითად,

6 Georgia Country Environmental Analysis, 2014, World Bank, <http://documents.worldbank.org/curated/en/293731468001755898/pdf/ACSI3945-WP-P147475-Box391501B-PUBLIC-6-26-15.pdf>

არსებული კვლევები, სიღარიბისა და გენდერის სფეროში, არ მოიცავს ენეროსიღარიბისა და მისი გენდერული ასპექტების პრობლემას⁸.

განახლებადი და სუფთა ენერგორესურსების პოპულარიზაცია გარემოს მდგომარეობისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით

გენდერული თანასწორობის სტრატეგიის 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმით, მთავრობას უნდა უზრუნველყო ენერგის განახლებადი წყაროებისა და ენერგორესურსების პოპულარიზაცია, ხოლო სამუშაოს ეფექტურობა შემუშავებული ახალი პროექტების ოდენობით უნდა გაზომილიყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ პროექტების შესაფასებისას, საქართველოში არ გამოიყენება გენდერული ზემოქმედების შეფასების არსებული არც ერთი ინსტრუმენტი, ეს ინდიკატორი ზედაპირულია და არაფრის მომცემი.

USAID-ს მიერ 2010 წელს ჩატარებული გენდერული შეფასება ხაზს უსვამს, რომ "ენერგეტიკულ სექტორში არსებული პროექტების განხორციელებას შესაძლოა მოყვეს მკვეთრი გენდერული ზემოქმედება მოსახლეობაზე. მაგალითად, მილსადენებისა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პროექტებს საქართველოში სხვადასხვა სახის, ხშირად კი უარყოფითი ეკონომიკური და სოციალური შედეგები მოჰქონდა ქალებისთვის. მაშინ, როცა პროექტებს აქტიურად მოჰყვა მამკაცების დასაქმება, ქალებისათვის სამუშაო ადგილები არ გამოიძებნა. იმატა სქესობრივი ძალადობისა და პროსტიტუციით გამოწვეულმა დაავადებების რიცხვმა, რაც დაკავშირებულია როგორც შემოსავლების არათანაბარ განაწილებასთან, ასევე ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარებასა და მუშათა ბანაკების გარშემო დანაშაულის ზრდასთან"⁹.

საქართველოს ჯერ კიდევ არ გააჩნია პროექტების ზემოქმედების შეფასების სრულყოფილი სისტემა, რომელიც ჯერონად გაითვალისწინებს დაგეგმილი პროექტების სოციალურ და გენდერულ ასპექტებს. პროექტის მომზადების პერიოდში, განმახორციელებლებს მოეთხოვებათ გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების (გსზშ) ანგარიშის წარდგენა. მიუხედავად ამისა სოციალური საკითხები, მათ შორის საკითხები რომლებიც შეეხება სოციალურად დაუცველ ადამიანებზე ზემოქმედებას, მკვიდრ მოსახლეობაზე, იძულებით გადაადგილებულ პირებზე, ქალებზე, არანებაყოფლობით გადასახლებულებზე, არ განიხილება გსზშ-ს დოკუმენტში. ამასთან, გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასება არ წარმოადგენს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვის ნაწილს. შესაბამისად, პროექტის განმახორციელების მიერ გსზშ-ს დოკუმენტის ფარგლებში აღებული სოციალური ვალდებულებები ფაქტობრივად კომპანიის კეთილსინდისიერების საგანია და მის შესრულებაზე შესაბამისი სამთავრობო უწყებების მიერ კონტროლი არ ხდება.

2017 წლის მაისში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო „გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსი“, რომელიც გარემოზე ზემოქმედების შეფასების ევროკომისიის დირექტივებს შეესაბამება. თუმცა, როგორც გაუმჯობესებდება გსზშ-ს ხარისხი ამას მომავალი გვიჩვენებს. სოციალური და გენდერული ზემოქმედებების ინტეგრირება პროექტის მომზადებისას იმ ქვენორმატიული აქტებით განისაზღვრება, რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2018 წელს უნდა მომზადდეს.

დღესდღეობით, ნებისმიერი გსზშ-ს ანგარიში (დიდი თუ პატარა ჰიდროელექტროსადგურების და/ან თბოელექტროსადგურების შემთხვევაში), არ მოიცავს სრულყოფილ სოციალურ და გენდერულ ანალიზს. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებულ პროექტებში, სოციალური ზემოქმედების

8 მაგ. "World Bank. 2016. Georgia Country Gender Assessment. World Bank, Washington, DC. © World Bank. <https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/26091> License: CC BY 3.0 IGO."

9 Gender Assessment, USAID/Georgia, 2010 http://pdf.usaid.gov/pdf_docs/Pnads884.pdf

შეფასების ნაწილი წარმოდგენილია უფრო დეტალურად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პროექტი გულისხმობს მოსახლეობის იძულებით ფიზიკურ განსახლებას.

ბოლო დროს დაგეგმილი და განხორციელებული განვითარების პროექტების მონიტორინგი ქალებზე და სხვა მოწყვლად ჯგუფებზე, ამ პროექტების უარყოფითი ზეგავლენის სულ უფრო მეტ მტკიცებულებას გვიჩვენებს.

მცირე ჰიდროელექტროსადგურების დაგეგმვისას გსზმ-ს დოკუმენტებში, საერთოდ არ განიხილება ის საკითხები, რომელთაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს ქალებზე (მაგ. წყლის ხელმისაწვდომობის შემცირება, გაზრდილი საგზაო მოძრაობა და ა.შ). არადა, სწორედ ეს საკითხები წარმოადგენს, როგორც წესი ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების შემფოთების საფუძველს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქალები ხშირად არ არიან ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამის კარგი მაგალითია, შუახევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც დაფინანსებულია საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC), აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ.

მთიან აჭარაში, სადაც მუსლიმი მოსახლეობა ჭარბობს, ადგილობრივ ქალებს არ მიეცათ მონაწილეობის შესაძლებლობა საჯარო განხილვებში. ამასთან, პროექტის დაგეგმვისას, მათი აზრი არც ინდივიდუალურად გამოუკითხავთ. არც პროექტის განმახორციელებელი ნორვეგიული კომპანია Clean Energy და არც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები არ შეწუხებულან ამ ფაქტით, მიუხედავად იმისა, რომ ეს ამ ბანკების სოციალური პოლიტიკის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

საბოლოოდ კი, სწორედ ქალები აღმოჩნდნენ, შუახევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შედეგად, ყველაზე მეტად დაზარალებულნი. მშენებლობის დროს გახშირებულმა საგზაო მოძრაობამ და მშენებლობაზე მიმდინარე აფეთქებების შედეგად ათზე მეტ თემში მცხოვრები ქალის ცხოვრების ხარისხი მნიშვნელოვნად შეცვლა. საგზაო უსაფრთხოების პრობლემების გამო, ქალები იძულებულნი არიან ბავშვები სკოლამდე მიაცილონ და სკოლიდან წამოიყვანონ. მოსახლეობას, განსაკუთრებით ქალებს, აწუხებს წყალთან დაკავშირებული პრობლემებიც. ბურღვა-ფეთქებითი სამუშაოების დაწყების შემდეგ ახლომდებარე წყაროები და მცირე მდინარეები მთლიანად დაშრა, რის გამოც ქალებს წყლის მოსატანად ბევრად უფრო შორს, ხანდახან 2-3 კილომეტრის მოშორებით უხდებათ სიარული. ქალები, რომელთა მეუღლეებიც, ან ნათესავები მშენებლობაზე არიან დასაქმებულები, უფრო მეტად დაიტვირთნენ საოჯახო საქმით, რადგან ისინი იძულებულნი არიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებიც აწარმოონ, რაც მანამდე მამაკაცების მოვალეობაში შედიოდა.

ენერგოეფექტურობის შესახებ ცნობიერების ამაღლება

გენდერული თანასწორობის სტრატეგიის 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის, ერთ-ერთ საქმიანობას ენერგოეფექტურობის შესახებ ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს. სამოქმედო გეგმით, ცნობიერების ამაღლება ჩატარებული საჯარო შეკრებების რაოდენობით უნდა შეფასებულიყო. თუმცა ამ კონკრეტულ ინდიკატორს არ გააჩნია შესაძლებლობა შეაფასოს ან გაზომოს ამ საქმიანობის განხორციელება და მისი ეფექტურობა.

ხაზგასასმელია, რომ საქართველოში არ არსებობს ენერგოეფექტურობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვის მიზანმიმართული საგანმანათლებლო პროგრამები და კამპანიები. ამავდროულად, საქართველოში, საჯარო და კერძო შენობები მხოლოდ გათბობისთვის მოიხმარენ წლიურად მოხმარებული ენერჯის 40-45% , რაც უშუალო გავლენას ახდენს ენეროსილარიზაციაზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე¹⁰.

¹⁰ <http://library.fes.de/pdf-files/id-moe/09397.pdf>

2015 წლის ზაფხულიდან, ენერგეტიკის სამინისტრო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსებით, მუშაობს ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმის მომზადებაზე. ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა წარმოადგენს სტრატეგიულ საპროგრამო დოკუმენტს, რომელმაც უნდა განსაზღვროს ქვეყანაში ენერჯის დაზოგვის ზოგადი და შუალედური საორიენტაციო მიზნობრივი მაჩვენებლები, როგორც სახელმწიფო ასევე კერძო სექტორისთვის. სამოქმედო გეგმამ უნდა ჩამოაყალიბოს კონკრეტული გზები და საშუალებები ამ მიზნების მისაღწევად. თუმცა დოკუმენტის შემუშავების პროცესი საზოგადოების და მედიის მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობს. საზოგადოების მონაწილეობა იყო შერჩევითი და მხოლოდ ზოგიერთი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია იქნა მიწვეული გეგმის სამუშაო ვერსიაზე კომენტარების და შენიშვნების წარსადგენად. სწორედაც რომ ფართო საზოგადოებრივი მონაწილეობა მისცემდა საშუალებას გარემოს დაცვის, ენერგეტიკისა და გენდერის საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივ ჯგუფებს, ღიად გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები, ხოლო მედია აქტიურად იმსჯელებდა და გააშუქებდა ამ თემებს. რასაც საბოლოო ჯამში, ენერგოეფექტურობაზე და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კუთხით დადებითი ზეგავლენა ექნებოდა.

საქართველოს მთავრობამ, ასევე სთხოვა დახმარება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს ენერგოეფექტურობის შესახებ კანონმდებლობის შემუშავებაში. კანონმა, ხელი უნდა შეუწყოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებას. თუმცა, მთავრობისა და ბანკის მიერ მომზადებული სამუშაო დავალება კვლავაც არ გულისხმობს საზოგადოების ფართო ფენების ჩართვას და მონაწილეობას კანონპროექტის მომზადებაში¹¹.

ორივე ინიციატივა, ენერგოეფექტურობისა და მისი პრაქტიკული დანერგვის შესახებ, საზოგადოებასთან ფართო დიალოგის წარმოების ხელიდან გაშვებული შესაძლებლობაა.

ქალი ენერგოსექტორში

საქართველოში ენერგეტიკის სექტორში ქალთა როლზე და შესაძლებლობაზე საკმაოდ მწირი მონაცემებია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, ელექტროენერჯის, გაზის, წყლის და დისტრიბუციის სექტორში დასაქმებულ ქალისა და მამაკაცის ხელფასი თითქმის ერთნაირია¹². ბოლო, 2014 წლის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ქალი ენერგეტიკის სექტორში დასაქმებულთა მთლიანი ოდენობის მხოლოდ 21%-ს შეადგენს. ეს 2010 წელთან შედარებით უკეთესი მაჩვენებელია, მაშინ ქალები დასაქმებულთა მხოლოდ 17%-ს შეადგენდნენ, თუმცა კვლავაც შორია გენდერული თანასწორობისგან¹³.

საქართველოში ენერგეტიკისა და გენდერის საკითხებთან დაკავშირებული დასკვნები და რეკომენდაციები

გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს უფრო მეტ და მკაფიო შედეგებზე ორიენტირებულ ღონისძიებებს. შეფასების ინდიკატორები ფოკუსირებული უნდა იყოს არა მხოლოდ ღონისძიებების რაოდენობაზე, არამედ ენერჯიაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის შედეგად ქალებისა და მამაკაცების ცხოვრების ხარისხის ცვლილებებსაც უნდა მოიცავდეს (მათ შორის ენერგოსილარიზის შემცირება, ენერგოეფექტურობის ზომების, უფრო სუფთა ტექნოლოგიების გამოყენება და ა.შ.). კეთილდღეობის

11 <http://www.ebrd.com/cs/Satellite?c=Content&cid=1395255717840&d=Mobile&pagename=EBRD%2FContent%2FContentLayout>

12 www.geostat.ge

13 <http://www.sida.se/contentassets/1d7e165f86b349f7a4629d30ffdcde83/final-report---gender-analysis-of-eu-aadcfta-with-georgia-moldova-and-ukraine-29-jan-2016.pdf>

გაუმჯობესებისკენ მიმართული ენერგოპროექტების შემთხვევაში, ანგარიშგება უნდა მოიცავდეს სერეგირებულ მონაცემებს სქესის და არა ოჯახების მიხედვით.

ენერგეტიკული პოლიტიკის ფორმირება უნდა იყოს გენდერულად დაბალანსებული. ითვალისწინებდეს გენდერულ ფაქტორებს და ემსახურებოდეს როგორც ქალის ისე მამაკაცის ინტერესებს. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია ენერგოპოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებისას, ისევე როგორც მათი რეალიზაციის დროს, გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირება.

სახელმწიფომ უნდა:

- უზრუნველყოს ქალებისა და მამაკაცების თანაბარი წარმომადგენლობა ენერგოპოლიტიკის, მათ შორის ენერჯის წარმოებისა და მოხმარების საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- გაზარდოს ქალების მონაწილეობა საქართველოს ენერგეტიკის სექტორში, სადაც ამჟამად მამაკაცები დომინირებენ;
- უზრუნველყოს გენდერული ზემოქმედების შეფასების მიზნით კვლევების ჩატარება ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის კონკრეტულ პროექტებთან და პროგრამებთან მიმართებაში, გენდერული ზემოქმედების შემცირების გეგმების მომზადება და მათი განხორციელების მონიტორინგი.



ამ ნარკვევში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს The Both ENDS და სადიაკნოსა და მსოფლიოში პურის განვითარების პროტესტანტული სააგენტოს-პროტესტანტული განვითარების სამსახურის შეხედულებათა ამსახველად.



© მწვანე ალტერნატივა, 2017

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ.#39ბ, IV სართ.
ტელ: (995 32) 222 38 74;
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG